

ნარამსინი

რომელი მაღალი შესწავლება ზეცას?
რომელი ფართე გადასწავლება მიწას?

ძველი შუამდინარეთის ისტორიის აქადური ხანიდან (2334-2154 ძვ.წ.) ჩვენამდე მოღწეულ არცთუ მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი ბარელიეფი. ორი მეტრის სიმაღლისა და ერთი მეტრის სიგანის ქვიშაქვის სტელაზე გამოსახულია ერთი ისტორიული ფაქტი, რაზეც სიტყვიერად მასზე ამოკვეთილი წარწერის ფრაგმენტები გვაუწყებს: "ძლიერი ნარამსინი... სათუნმა ლულუბელნიშეკრიბა და..." აქ შემორჩენილია ბარელიეფის პერსონაჟთა სახელები: ნარამსინი - სემური მოღვმის აქადის დინასტიის ერთ-ერთი უკანასკნელი მეფე, ლულუბელნი - შუამდინარეთის ჩრდილოეთით, მთიანეთში მოსახლე ტომი, სათუნი - მათი ბელადი. სხვას, ყველაფერ დანარჩენს, რაც ამ წარწერას აკლია (თუნდაც სიტყვა "დავაამარცხე" თუ "მუსრი გაავლე"), თავად ბარელიეფი გვამცნობს უფრო მეტყველად, ვიდრე სიტყვას შეუძლია გამოსატოს. მასზე გამოსახული სცენა, როგორც ვხედავთ, ბრძოლის კულმინაციას გადმოსცემს - ნარამსინმა თავისი ლაშქრითურთ ლულუბელთა მთიანეთის უკიდურეს ზღვარს მიაღწია და იქ მოიმწყვდია მოწინააღმდეგე. ეს არის ბარელიეფის თხრობითი ემპირიული შინაარსი. მაგრამ მასში ჩამარხულია სიმბოლური აზრი, რაც ამ ნაწარმოებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მსგავს (საბრძოლო) თემაზე აგებულ სხვა ბარელიეფურ სცენებიდან გამოარჩევს.

მთელს სცენაზე ბატონობს ნარამსინის ბუმბერაზული ფიგურა, რომელიც ერთი მესამედით აღემატება სხვა დანარჩენს. იგი ბარელიეფის გეომეტრიული შუაგულია. ტრადიციული კანონის თანახმად, მის ქვემო კიდურები და სახე პროფილშია, ხოლო მკერდი გამოხატულია - ენ ფაცე. მისი ფიზიკური ძალა სხეულის მარჯვენა მხარეს არის კონცენტრირებული, მარცხენა მხარე კი რამდენადმე მიჩქმალულია, რასაც თითქოს რაგაც დისპარმონია შეაქვს სხვამხრივ იდეალურად აგებულ მის ფიგურაში. მარცხენა ფეხი საგრძნობლად სუსტი და მოკლე ჩანს (არა პერსპექტივის გამო), თითქოს უმწეოდ უდგას მიწაზე. ამით გაძლიერებულია შთაბეჭდილება მარჯვენის სიმტკიცისა, რადგან მას აწევს, როგორც სვეტს, სხეულის მთელი სიმძიმე. ძალთა ამ განაწილებით პლასტიურად არის გადმოცემული აღმართზე სვლის ბუნებრივი წესი, რაც საჭიროდ ჩათვალია დანტემ აღენიშნა "ჯოჯოხეთის" ერთ ადგილას: "მერე გავეყვი უდაბურ ფერდობს, ისე რომ მყარი ფეხი მუდამ დაბლა მქონდა". ასევე მარჯვენა ფეხი ნარამსინისა და მისი რაზმელებისა გამართულია და მარცხენი ქვემოთ მყარად დგას ბილიკზე. ბარელიეფზე ფიქსირებულია ის მომენტი, როცა მარცხენა ფეხი წინ წადგმული, მარჯვენა უკან დარჩა.

თუ წინა პერიოდის, შუმერული ხანის ბარელიეფების სივრცე დაყოფილია დახურულ სართულებად, რაც სივრცულად გამოხატავდა ეპიზოდთა დროში მონაცვლეობას, ნარამსინის სტელაზე მიღწეულია გრადაციული მოძრაობის რიტმი ღია სივრცეში. დროისა და სივრცის ერთიანობა აქ მიღწეულია. ნარამსინის მეომარნი, რიცხვით შვიდნი, ორ ქვემო ქვემო "საფეხურზე" არიან განლაგებულნი. ეს ავანგარდია, რომლების ფერდობს შესევიან, მათ ახალი ბილიკები გაუკვალავთ და წინ მიიწევენ. ლაშქარი მთაში ადის, მისი კუდი კი სადგაც ქვემოთ, უფსკრულში იკარგება.

უფსკრულიდან ამოდის ჯარი, ხეები, მთა, - ყველაფერი, რაც კი ბარელიეფზეა გამოსახული. აღმასვლის ეფექტს აძლიერებს ვერტიკალები - აღმართული შუბები და შტანდარტები, ნარამსინის მეომრებს რომ მოაქვთ, ასევე მათი ზედაღმართული თავები, მზერა. მაგრამ, სადაც ერთი იმარჯვებს და მაღლა ადის, იქ მეორე მარცხდება და ძირს ემხოება. სწორედ იმ ადგილიდან, სადაც ნარამსინს ბილიკზე განრთხმული მტრის მკერდზე მარცხენა ფეხი უდგას (აქ ვხედავთ, ორ ერთმანეთზე გადაჯვარედინებულ გვამს, ძნასავით შეკრულს), უფსკრულისაკენ თავდაყირა ეშვება შიშველი სხეული კაცისა (ადამიანი შიშველად ჩადის მკვდართა სამეფოში), რომელიც ქმნის ტრაგიკულ კონტრასტს გამარჯვებულის აღმართულ ფიგურასთან. ამავე დროს ჰაერში გამოკიდებული ეს სხეული ის ვერტიკალია, რომელიც აგრძელებს მარცხენა ფერდობის ხაზს და მასთან ერთად ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს ბარელიეფის სივრცეს. მარჯვენა მხარეს, სადაც განიარაღებული მტერია გამოსახული, კვლავ დავინახავთ ქვემოთ მიმართულ ვერტიკალს: თითქოს ციდან (თუმცა ის ნარამსინის ხელიდან უნდა გამოდიოდეს) ნასროლი შუბი თუ ისარი წაქცეულს ყელში გარჭობია და მისი წვერი მიწის ზედაპირთან მახვილ კუთხეს ქმნის. მაგრამ დროის უახლოეს მონაკვეთში ეს განგმირული კაცი გულაღმა დაეცემა და შუბიც (თუ ისარი) შვეულად აღიმართება. სწორედ ამ დროს ნარამსინი ერთ ნაბიჯს გადადგამს წინ და ახლა მის მკერდს დათრგუნავს ტერფით. ეს ნაბიჯი ბედისწერასავით გარდაუვალია, რომლის მოლოდინი მთასთან მდგარი კაცის სასოწარკვეთილი პოზაც გამოხატავს. ის ფეხზე დგას, მაგრამ ეს დგომა წამიერია. მხატვარმა ერთდროულობაში დაგვანახა ორი მდგომარეობა: ის გარბის კიდევ (რასაც მისი შუატანი და ქვემო კიდურები მოწმობს) და ვედრების პოზაშიც ყოვნდება საზარელი მტრის წინაშე მონუსხულივით. თუმცა გასაქცევი გზა აღარაა - მარჯვენა მხარეს მთავრდება არა მხოლოდ ბარელიეფის სივრცე, არამედ ქვეყანაც. ეს ქვეყნის კიდეა, რომლის მიღმა გარესკნელია. ქვემოთ კი უფსკრულია, სადაც მისი ერთი თვისტომი იჩეხება. სასოწარკვეთილის ფიგურის ქვემოთ ორიარუსიან ვერტიკალზე დგანან მსგავსი აღსასრულის მომლოდინენი: ერთს შუბის წვერი გადასტეხია, რომელიც ჩვარივით ჩამოჰკიდებია უსარგებლო ბუნს, თუმცა ის იძლევა დაღმავალ ვერტიკალს, კონტრასტულად ერიტმება ამ კაცის ვედრების ნიშნად ზეაწეულ ხელს. მეორე ფიგურას მის ქვემოთ ხელი კიდევ უფრო მაღლა აღუმართავს ნარამსინისკენ, მხარზე ჯერ კიდევ გამოსაყენებელი რაღაც იარაღი გაუდევს.

ამ კონკულსიურ რიტმს უპირისპირდება გამარჯვებულთა ლაღი, მწყობრი რიტმი, რომლის წყარო თავად ნარამსინია. მეომრები ზუსტად იმეორებენ მათი წინამძღოლის მოძრაობას: მარშით მიჰყვებიან მას, იქითკენ იყურებიან, საითაც ნარამსინს მიუძმართავს მზერა. ისინი მისი ნებით არიან აღძრულნი, საკუთარი მათ არ გააჩნიათ. ისინი აირეკლავენ ნარამსინს, თითქოს მისი ხატები არიან, მათზე მაღლა მასული კაცი მათი იდეალია. ამრიგად, ნარამსინი არა მხოლოდ გეომეტრიული ცენტრია ბარელიეფისა, არამედ ნებელური შუაგულიც. მის ფიგურაში მარხია ნება, რომელიც ყველაფერს ამოძრავებს, რაც ბარელიეფზეა გამოსახული.

აქ ვხედავთ მეორე ცენტრსაც, საკრალურ შუაგულს. ეს არის მთა - უფსკრულის კარნიზის პირას მდგარი პიტალო კონუსი, მოგლუვებული მწვერვალით, რომელსაც უზარმაზარი, მასთან შეუზომადი ვარსკვლავები აგვირგვინებენ. ამგვარად გამოსახულ მთას ლულუბელთა რეალური მთიანეთიდან უშუალოდ გადაყვავართ კოსმიურ არეში. ეს იმ მითოსური მთის

ხატია, რომლის "ფესვი მიწის გულშია, ხოლო მწვერვალი ცას სწვდება". ეს ფრაზა, როგორც მითოლოგებმა, იტყვეს მნიშვნელოვან აზრს, ძველ წარმოდგენას სამყაროს დერძზე (ახის მუნდი). ამ ბარელიეფის შექმნიდან თექვსმეტი საუკუნის შემდეგ სხვა მბრძანებელმა შუამდინარეთის იმპერიისა, სარგონ აშურელმა, ურარტუში ლაშქრობისას ნანახი მაღალიმთა სწორედ ამ სიტყვებით შეამკო და ამით განსაკუთრებულ განზომილებაში გადაიტანა თავისი ლაშქრობა. იგი თითქოს მიაღვა უხილავ კოსმიურ დერძს, მთად აღმართულს, სადაც მისი რწმენით მან პირველმა დაადგა ფეხი. ჩვენს ბარელიეფზე კი თვალთ პირველად ვხედავთ ამ სიტყვების მკვეთრ პლასტიურ გამოხატულებას. ჩვენ ვხედავთ მთის წვერზე მოკიაფე ვარსკვლავს, რომლის გამარტივებული გეომეტრიული ვარიანტი (+++) იმდროინდელ დამწერლობაში ცისა (ან) და ღმერთის (დინგირ) ნიშანს გამოხატავდა. ამ ნიშნით ბარელიეფი ამბობს, რომ მთის მწვერვალი ცას, ანის საუფლოს, ებჯინება.

მეორე მომცრო ვარსკვლავი ნარამსინს ადგას თავს ზემოთ - ეს მისი ნიშანია. ის, როგორც მისი ღვთიურობის მიმანიშნებელი, დამწერლობით (სიტყვიერ) ტექსტებში წინ უძღვის მის სახელს. მაგრამ სტელაზე სხვა ღვთაებრივ ნიშანსაც ატარებს - ორქიან მუზარადს.

ორი ძლიერი რქა იმ მომცრო ვარსკვლავისკენ არის მიმართული, რომელიც თავზე დაჰნათის გაღვთაებრივებულ მეფეს და აცისკროვნებს მას. ის შეიძლება ნარამსინის ბედის ვარსკვლავად დავსახოთ ან, ამასთან ერთად, ის შეიძლება ქალღმერთ ინანას ნიშანიც იყოს - ინანა მისი დინასტიის მფარველი ქალღმერთია. ერთ დროს მან "შეიყვარა" (ამოარჩია) სხვა "შავთავიანთა" შორის მისი პაპა სარგონი (შარუ კენუ) და მთელი წინა აზიის ბატონობა ჩააბარა. ინანა ომის ქალღმერთიც არის. თუ ქალწული ინანა, "სამკაული ვრცელი ზესკნელისა", ერთის მხრივ, სიყვარულის ქალღმერთია, მწუხრის ვარსკვლავის სახით ცაზე მოკიაფე, მეორე მხრივ, ის არის "ქალბატონი ბრძოლის ველისა". ამ დროს ის ცისკრის ვარსკვლავია, რადგან ბრძოლა ცისკრისას იწყება.

ამავე მთიანეთში, სადაც ნარამსინმა ძლევა განახორციელა, შეიძლება ითქვას, ინანას მფარველობით, მოხდა სხვა ბრძოლაც, რომლის ამსახველი ამბავი სარიპულის კლდეზეა ამოკვეთილი (ნარამსინის სტელა ამჟამად ლუერის მუზეუმში ინახება). აქ უკვე ლულუბელმა სძლია აქადელს და ჩვენ ვხედავთ მათ მეფეს, სახელად ანუ-ბანიის (ის ატარებს აქადურ სახელს), მდგარს ნარამსინის პოზაში თუმცა არა მთის, არამედ მეომარი ქალღმერთის წინაშე (სიმბოლურ ენაზე ერთია მთა და ღმერთი), რომელსაც ძლეული აქადელნი საბელით მიუყვანია მასთან. ეს ის ქალღმერთია, რომელიც ადრე აქადის დინასტიას სწყალობდა, ახლა კი განდგომია მას. ინანამ პირი შეაქცია აქადელებს და მათი მტრის მხარეზე გადავიდა. ეს მოხდა სწორედ იმ მითოსის თანახმად, სადაც ინანა პერიოდულად ივიწყებს ღუმუხის და დასაღუპავად გასწირავს მას, რათა მერე იხსნას ქვესკნელიდან და კვლავ შეიყვაროს. ასეთია მისი ბუნება, რაც გამოხატავს დინასტიათა ბედის ცვალებადობას.

მაგრამ სარიპულის ბარელიეფზე სხვა რამ არის ნიშანდობლივი. თუმცა ერთი საუკუნის შემდეგ ლულუბელებმა შურისგება აღასრულეს თავიანთ ძველ მტერზე, მაგრამ ხელოვნებაში მარცხი განიცადეს: სარიპულის კლდეზე გამოკვეთილი ბარელიეფი ოდნავადაც ვერ უწევს მეტოქეობას ნარამსინის სტელას. აქ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ტლანქ, ბარბაროსულ ძალას, რომელიც მხოლოდ იმარჯვებს, თრგუნავს, მაგრამ ამის მიღმა არაფერს გულისხმობს. ლულუბელი მეფის ფიგურა იმეორებს ნარამსინის პოზას, მაგრამ მასში ვერ

ვიგრძნობთ ნარამსინის დიდებულებას, ზესკნელისკენ სწრაფვას, რასაც ხელს უწყობს ბარელიეფის მთელი კომპოზიცია მრავალგვარად გამოხატული ვერტიკალებით. სარიპულის სცენაზე განივი ძლევეს შეეუღლს.

კვლავ ვუბრუნდებით ნარამსინის სტელას და შევნიშნავთ, რომ აქ იმის წინათგრძნობაც შეგვიძლია, რაც გამოსახული არ არის: კაცს, ნარამსინს, ჯერ არ დაუსრულებია სვლა, კაცმა კიდევ უნდა გადადგას ერთი ნაბიჯი, რომ ხელით შეწვდეს ვარსკვლავს, ცის თავანის გამომსახველს მის თავს ზემოთ. და თითქოს პასუხი გასცეს საუკუნო კითხვას, რომელიც ადამიანის დასახლდურულ შესაძლებლობებს გულისხმობს: "რომელი მაღალი მისწვდება ზეცას?"

ეს კითხვა, რომელიც აწვალებდა შუამდინარელი ადამიანის გონებას, პლასტიურ გამოხატულებას ჰპოვებს ამ ბარელიეფზე. ეს ძეგლი, ღულუბელთა ტომზე ძლევის ნიშნად რომ შეიქმნა, ამ წარმავალ ფაქტზე უფრო მეტს გვამცნობს. სტელა გვაუწყებს, რომ ნარამსინის პიროვნებაში კაცი გასცდა კაცობრივ საზღვარს, მან გაბედა და ღმერთის სახელი მიიკუთვნა - "ძლიერი ნარამსინი, ღმერთი აქადისა, მეფე სამყაროს ოთხივე კუთხისა" (ასეთია მისი ტიტულატურა). ამ სიტყვიერი ტექსტით გაცემულია პასუხი ჩვენი ეპიგრაფის მეორე სტრიქონზე "რომელი ფართო დაფარავს მიწას?", რადგან ძველი წარმოდგენით სამყაროს ოთხი კუთხე აქვს. ამგვარი უნდა ყოფილიყო გაღვთაებრივებული მეფის განზომილება, როგორც ინანა ჰპირდება გვიანი შუმერის ერთ მბრძანებელს: "სამყაროს კიდემდე სამარადისოდ გაგაფართოვებ".

შემდეგ ვნახავთ, რა ბედი ეწია ნარამსინის პიროვნებას მომდევნო საუკუნეებში შუმერი ხალხის ცნობიერებაში, რომელთაც მისი აღზევება უდიდეს ჰუმბრისად ჩათვალეს. არ ეპატია მას ღმერთთან გატოლების განზრახვაც, ღმერთების ინსინიის, რქიანი მუზარადის, მიტაცება. მანამდე კი ვნახოთ, რა ბედი ეწია თავად მის სტელას, რომელიც სიპარში, მზის ქალაქის მთავარ ტაძარში დაიდგა, როგორც შესაწირავი.

სტელა იმეორებს მასზე გამოსახული ადამიანის ბედს, როგორც ის გამოიკვეთა ისტორიულ პერსპექტივაში. ნარამსინმა თავისი გამარჯვების მაუწყებელი ძეგლი მზის ღმერთს დაუდგა სიპარში, "მარადიულ ქალაქში", რომელსაც ერთი აქადური ეპოსის თანახმად, "წარღვნის ნიაღვარი არ შეხებია", და იდგა იქ თორმეტი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე ელამის მეფემ არ დააქცია სიპარი მისი ტაძრითურთ და ძეგლი თავის სატახტოში, შუშანში, არ წაიღო ნადავლად. ამ ამბავს ელამური წარწერა გვამცნობს, რომელიც ირიბად არის წარწერილი მთის გამოსახულების გლუვ ზედაპირზე, რომლის წინაშეც დგას ნარამსინი. ტექსტი ამბობს: "ღმერთი ინშუშინაქი შემეწია, დავამხე სიპარი, ავიღე ნარამსინის ძეგლი, ელამში გავაგზავნე და იქ ჩემი ღმერთის, ინშუშინაქის, წინაშე დავდგი". ცხადია, ნარამსინის სტელა სრულებითაც არ იყო იმისათვის დამზადებული, რომ ზედ ელამური წარწერა გაკეთებულიყო, ან რა იყო შუშანი და ვინ იყო ნარამსინისთვის ინშუშინაქი?

და აი, ამ შუშანის ანუ სუზის ნანგრევებში აღმოჩნდა ეს ძეგლი გასული საუკუნის დამლევეს. ეს ის სუზაა, სადაც ალექსანდრე მაკედონელმა გრანდიოზული ქორწილი გადაუხადა ათი ათას ელინ მებრძოლს, რომელთანაც ათი ათასი სპარსელი ქალწული შეაუღლა, რითაც სიმბოლურად გამოხატა დასავლურ-აღმოსავლური კულტურების სინთეზი - ელინისტური ხანის დავვირგვინება.

მანვე, ალექსანდრემ, სუზადან დააბრუნა ქსერქსეს მიერ ათენიდან

გატაცებული ბერძენი ღმერთების ქანდაკებები. სად იყო ამ დროს ნარამსინის ძეგლი? ის ალბათ დიდისნის დაქცეული ტაძრის ნანგრევებში ემარხა და ჩვენი დროის არქეოლოგს ელოდა. 636 წელ (ძვ.წ.) აშურის მეფემ აშურბანიპალმა გაანადგურა სუზა და ელამის ღმერთები ბაბილონში ტყვედ წაასხა. ამ დროისათვის სადღაც ღრმად, ნანგრევებში ეგდო გამარჯვების ძეგლი წუთისოფლის წარმავლობისა და ცვალებადობის უჩინარ დასტურად. ჰქონიათ თავისი ბედი ძეგლებსაც! ჭაბუკი ალექსანდრე ველარ იხილავდა მას ძველ შუშანში ელამელთა ღვთაების ინშუშინაქის ტაძარში. რადგან იმ ხანად აღარ არსებობდა ეს ტაძარი. მაგრამ ალექსანდრეს მოუხდა ტრიუმფალური გავლა გზისა იმავე მთებში, როცა მსოფლიოს საბატონოდ იყო გასული. შეგვიძლია ნარამსინის ადგილას ამ ძეგლზე ჭაბუკი ალექსანდრეს ბედი ამოვიკითხოთ. ალექსანდრეს ჰქონდა შემთხვევა შეტაკებოდა იმ ტომებს, რომელთაც ნარამსინი ებრძოდა და ამარცხებდა. ლულუბელები, კუთიელები, ქაშიელები ჯერ კიდევ ბინადრობდნენ იმ მთებში, რომელთაგან ერთ-ერთი გამოსახულია ძეგლზე სამყაროს შუაგულად. ბერძნული წყაროები მოგვითხრობენ, რომ ალექსანდრე შეჭრილა ლურისტანის მთიანეთში და ქვეყნის სიღრმეში დევნიდა კაშიელებს (ბერძნ. კოსსაი). არიანეს წიგნში "ალექსანდრეს ლაშქრობა" ვკითხულობთ: "მაშინ გაოლაშქრა მან კოსეების, უქსიების მეომარი მეზობლების წინააღმდეგ. ცხოვრობენ კოსეები მთის სოფლებში, რომლებიც მიუდგომელ ადგილებშია გაშენებული. როცა მტერი მიუახლოვდება მათ, ისინი თავს აფარებენ მაღალ მწვერვალებს, და ჯარი ვერაფერს აწყობს მასთან...ალექსანდრემ გაანადგურა ეს ტომი, თუმცა ზამთარში მოუხდა ლაშქრობა. მისთვის ხელი არ შეუშლია არც ზამთარს, არც უგზობას..."

აღმოსავლეთში ალექსანდრე "ორრქიანად" არის ცნობილი, მაგრამ დასავლეთი არ იცნობს (ან არ ცნობს) ამ ეპითეტს. საცნაურია მისი მსგავსება ძეგლზე გამოსახულ ნარამსინთან არა მხოლოდ რქებით - რქიანი მუზარადით, რომელსაც, აღმოსავლური გადმოცემით, ალექსანდრე ატარებდა, - არამედ ბედისწერითაც. პლუტარქეს შეეძლო დაეწერა მათი პარალელური ბიოგრაფიები, ნარამსინის არსებობა რომ სცოდნოდა.

"პარალელურ ბიოგრაფიებში" ალექსანდრე მაქედონელი იულიუს კეისართან არის დაწვევილებული, თუმცა მათი შედარებითი დახასიათება ავტორს არ მოუცია. არ არის ცხადი, რას ემყარებოდა პლუტარქე მათი დაწვევილებისას. მაკედონელი ალექსანდრე კი ნამდვილად იჩენს მსგავსებას აქადელ ნარამსინთან, მათი "სინკრისისი" შეიძლება შემდეგ ისტორიულ ფაქტებს დაეფუძნოს:

ორივე მბრძანებელი აღძრული იყო მსოფლიო ბატონობისკენ ლტოლვით, რასაც წინ ედგა, როგორც ცაუსა ფინალის, ერთიანი კაცობრიობის იდეა. სუზაში მომხდარი ქორწილი ამ უნივერსალობის, გახლეჩილი დასავლურ-აღმოსავლური სამყაროების კვლავ ერთ სხეულად შეკვრის, მისი გამთლიანების სიმბოლური ნიშანი იყო. თუმცა ნარამსინს არ ჰქონია ასეთი მასშტაბი, ასეთ სივრცეზე არ გაშლილა მისი მოღვაწეობა, მაგრამ არსი ერთი იყო. ნარამსინის დაპყრობების შედეგად მთელს ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა ენა და კულტურა ახლადჩენილი ერთ-ერთი სემური მოდემის ხალხისა, რომელსაც სახელი ერთი უჩინო ქალაქის, აქადის მიხედვით, ეწოდა. ეს ენა ადგილს იკავებს შუმერული ენისა და კულტურის გვერდით და მერე ერწყმის მას, რათა შუამდინარული სინთეზური ცივილიზაცია შექმნილიყო. ამ სინთეზში ჩვენ შეიძლება დავინახოთ იმ მოვლენის ანალოგი, რომელსაც ალექსანდრეს ლაშქრობებმა დაუდეს სათავე -

ეს იყო ელინიზმი. შუამდინარეთსაც ჰქონდა თავისი "ელინიზმი", რომელსაც შეიძლება "შემერიზმი" ვუწოდოთ.

ნარამსინის ტიტულში "მეფე სამყაროს ოთხივე კუთხისა" პირველად მსოფლიო ისტორიაში ჰპოვა სიტყვიერი გამოხატულება მსოფლიო ერთიანობის იდეამ. ამ ტიტულის მფლობელისათვის ეს შეიძლება რეალურიც ყოფილიყო, რადგან მასში იგულისხმებოდა იმდროისათვის ცნობილი მსოფლიოს დასახლებულ ნაწილი - ოიკომენა, რომლის მითოგეოგრაფიული სახელწოდება გეოპოლიტიკური მითოლოგიის შემცველია: შუამდინარეთის იმპერია, რომელიც დააარსა სარგონ აქადელმა (2369-2314 წწ. ქრისტემდე), ვრცელდებოდა "მზის აღმოსავლეთის ზღვიდან მზის დასავლეთის ზღვამდე", ანუ დღევანდელი სპარსეთის ყურიდან ხმელთაშუა ზღვამდე. სარგონ აქადელმა, როგორც ერთ ტექსტშია ნათქვამი, ამ დასავლეთის ზღვაში განბანა იარაღი. ამ ფარგლებს გარეთ, ამ ზღვათა გაღმა, ყველაფერი მითოსურ სამყაროში ძევს, სააქაოს არ ეკუთვნის. როგორ გამოიყურება ორი სხვა კუთხე - კუთხე ჩრდილოეთისა და კუთხე სამხრეთისა? ჩრდილოეთი, ვიცით, ბარბაროსი მთიელების სამყოფელია, სამხრეთში კი უდაბნოა, საიდანაც გამუდმებით ხდება კვლავ და კვლავ სემური ტომების ინფილტრაცია ტიგროსისა და ეფფრატის ნაყოფიერ ხეობაში.

მსოფლიოს ოთხსავე კუთხის ბატონობას უბრალო მოკვდავი ვერ ადასრულებდა, ასევე, იდეალურ პლანში, გახლენილ, დაქუცმაცებულ მსოფლიოს ვერ გააერთიანებდა. ამ აქტის პრეტენზიის მქონე მეფე ღვთაების რანგში უნდა აღზევებულიყო. მსოფლიო ბატონობა, ფლობა მისი ერთიანი სხეულისა, ზეკაცურ ძალას მოითხოვს, ადამიანის აპოთეოზი მისი აუცილებელი პირობაა. ინდოელ გიმნოსოფისტს ეკითხება ალექსანდრე: "როგორ შეუძლია კაცს, რომ ღმერთი გახდეს?", ბრძენი პასუხობს მარტივად, აღმოსავლელ ბრძენთა წესისამებრ: "თუ ისეთ რასმე მოიმოქმედებს, რისი ქმნაც კაცის შესაძლებლობებს აღემატება". ალექსანდრემ იგულისხმა, რომ ის უკვე გასცდა კაცებრივ შესაძლებლობათა საზღვარს და, სწორედ ინდოეთიდან დაბრუნებულმა, აიძულა ელინთა ლაშქარი, ღვთისდარი პატივი მიეგოთ მისთვის. მხოლოდ მისმა თანამემამულე მაკედონელებმა უარყვეს ეს წინადადება. პლუტარქეს აქვს შემონახული ცნობა: სამშობლოსკენ მიმავალმა ალექსანდრემ გზა გაიმრუდა და ლიბიის უდაბნოში, სივას ოაზისში, ეწვია ეგვიპტელთა მზის ღმერთის ამონის სახელგანთქმულ ტაძარს. ქურუმი გამოგებებია მას და უმცნობებია მისთვის, რომ ამონი ესალმება მას, ვითარცა ძეს. ალექსანდრე მარტოდ-მარტო შესულა ტაძრის წმიდათა წმიდაში, როგორც ფარაონი, და სახეგაბრწყინებული გამოსულა გარეთ, როგორც მზიური ძე ამონისა. ამიერიდან ალექსანდრემ ზევს-ამონის ნიშანი მიიღო - ვერძის რქები, ანუ ის ნიშანი, რომლითაც გამოირჩეოდა სხვა ღმერთებისგან ამონი (მას გამოსახავდნენ ვერძის ან ვერძისთავიანი დაგრეხილრქებიანი კაცის სახით). პავსანია გვამცნობს, რომ არკადიის ქალაქ მეგაპოლისში ალექსანდრესათვის აგებული სასახლის მახლობლად ვერძის რქებიანი ამონის ქანდაკება მდგარა. ვერძის რქებით არის ალექსანდრე გამოხატული მონეტებზე. ოღონდ ვერძის დაგრეხილი რქები შეფარულია ჭაბუკი მეფის ხუჭუჭა თმაში. ეს დასავლური თავშეკავებაა. იმ ეპოქის დასავლეთმა არ აღიარა საბოლოოდ მეფის ღვთაებრივობა (ამ იდეოლოგიამ რომის იმპერატორთა ხანაში მიაღწია აპოგეას).

ნარამსინსა და ალექსანდრეს ერთმანეთთან აახლოებს მზის ტაძართან მათი კავშირი და მის ორაკულთან (სამისნოსთან). ლიბიელთა ამონს

შუამდინარეთში შეესაბამება მზის ღმერთი შამაში (შუმ. უთუ), რომელიც ორაკულების ღმერთადაც ითვლება. შემთხვევით არ მომხდარა, რომ ნარამსინმა თავისი გამარჯვების ძეგლი მზის ღმერთს შესწირა სიპარში, თუმცა მის სახელში იკითხება მთვარის (სინ), არა მზის ღმერთის სახელი (ამას თავისი მიზეზი აქვს, რის ახსნას აქ არ შევუდგებით). ეს ორი ღვთაება - შუამდინარული შამაში და ეგვიპტური ამონი, მიუხედავად არსობრივი ერთიანობისა, განასახიერებს ორ განსხვავებულ ცივილიზაციას. ისინი მათ ნიშნებს წარმოადგენენ. მაგრამ ისინი ასევე წარმოადგენენ ნიშნებს თანამიმდევრულ ასტრონომიული ეპოქებისა - ერთია ეპოქა კუროსი და მეორეა ეპოქა ვერძისა. შუამდინარეთის ცივილიზაცია აღბეჭდილი იყო კუროს ზოდიაკოს ნიშნით. ამ ეპოქაში დაუვალი (აღმავალი) მზე ანუ შოლ ინციტუსს გაზაფხულის ბუნიობისას ამ თანავარსკვლავედს მიითვლიდა, შედიოდა კუროს სახელში. ამიტომაც ნარამსინის მუზარადს კუროს რქებია აქვს. შემდგომი ეპოქა, რომელიც დაახლ. ძვ.წ-ის მე-18 საუკუნიდან იწყება, ის ასტრონომიული ხანაა, როცა მზე გაზაფხულის ბუნიობისას ვერძის ზოდიაკოშია. ამ ხანის მზის ღვთაება ვერძის რქებით გამოისახება. ასეთია ამონი და მისი ძეც, ალექსანდრე, ვერძის რქებით არის გამოსატული. მისი გავრცელებული აღმოსავლური (მუსულმანურ სამყარომდე მოსული) სახელწოდებაა "ორქიანი" (არაბ. ზუ-ლ-კარნინი). თითქოს ალექსანდრეს ნარამსინის სახით ვხედავთ სხვა ეპოქაში, ვერძის ეპოქაში.

ორივე მბრძანებელი ანგრევდა ძველს ახლის ასაშენებლად ძველის ნანგრევებზე. ორივე მბრძანებელი აფართოვებდა გეოგრაფიულ თვალსაწიერს, თავისი ბატონობის ქვეშ აქცევდა მისთვის მისაწვდომ ოიკუმენას. მათი დამანგრეველი ენერჯია იმავე წყაროდან მოდის, საიდანაც შენების დაუცხრომელი წყურვილი. იმ დინასტიამ, რომელსაც ნარამსინი ეკუთვნოდა, ბოლო მოუღო შუმერის ქალაქ-სახელმწიფოთა წყობას, დაანგრია ძველი ტაძრები, ახალ ნიადაგზე დააფუძნა რა საკულტო ცხოვრება შუამდინარეთის მთელს ტერიტორიაზე. ალექსანდრემ ნიწასთან გაასწორა მიდიისა და სპარსეთის ქალაქები, რის სანაცვლოდ მან, გადმოცემის თანახმად, 12 ქალაქი დააფუძნა თავის სახელზე. ამ სახელს წყველა-კრულვით იხსენიებს ერთი სასანური ხანის ძეგლი: "მოვიდა ჯოჯოხეთის ნაშიერი, აგბედითი მწვალბეგლი, ბერძენი ისქანდერი და ცეცხლს მისცა საღმრთო წიგნები. მუსრი გაავლო დასტურებსა და დატვარებს, ჰერპატებსა და მობედებს, და ერანშაჰრის ბრძენებს და რჯულისკაცებს. შური და მტრობა დათესა ერანშაჰრის ბელადებს შორის, თავად კი ჯოჯოხეთში შთაინთქა". სხვა, მოგვიანო ავტორი წერს: "ძველ მეზღაპრეთ შეუთხზავთ, თითქოს ისქანდერს ირანის მიწაზე თორმეტი ქალაქი აეშენებინოს, ისქანდერიად წოდებული... მაგრამ უსაფუძვლოა ეს გადმოცემა, რადგან ისქანდერი დამანგრეველი იყო და არა აღმშენებელი..."

ასევე, ძველცხოვრებამოშლილ შუმერის ცნობიერებას ნარამსინის პიროვნება შერჩა, როგორც დამანგრეველი ძალის განსახიერება. ერთ შუმერულ პოემაში, რომელიც დაიწერა აქადის დინასტიის დამხობის შემდეგ, ვკითხულობთ: "ქალაქთა მძარცველი ყაჩაღივით უზარმაზარი კიბე მიაღვა ექურის ტაძარს, რათა ექური დიდი ხომაღლივით დაენგრია, ვერცხლის საბადოსავით გამოენგრია, ლაჟვარდის მთასავით გამოეთხარა... ტაძრის წმიდათა წმიდა, სადაც დღის სინათლე არასოდეს შეუღწევია, მისმა ლაშქარმა თვალთ იხილა; ღვთიური, საიდუმლო დაფები აქადელმა იხილა..."

ჰეგელის სიტყვით, ალექსანდრე მაკედონელის ტიპის პიროვნებანი მოწოდებით მსოფლიო სულის ადეპტები არიან. მსოფლიო სული მათი უშუალო მოქმედებით ახორციელებს აქა ქმნადს. სწორედ ამის გამო მათი პიროვნება უსაზღვროდ ფართოვდება. მაგრამ როგორია მათი, როგორც კერძო პირთა, ბედი? ჰეგელისავე სიტყვით, მათი ბედი არ არის ბედნიერი, ის ტრაგიკულია. ტრაგიზმი ცხადდება არ მხოლოდ იმაში, რომ ალექსანდრე ნაადრევად იღუპება. ბოლოს და ბოლოს, ნაადრევი სიკვდილი ძველი ბერძნული თქმით არათუ ტრაგიკული, კურთხეულობის ნიშანია: "ვინც ღმერთებს უყვართ, ჭაბუკებად კვდებიან". აღმოსავლური მსოფლგანცდისათვის ეს გამოთქმა მეტისმეტად ოდიოზურია. იქ ღმერთების კურთხევა კაცთა მიმართ სწორედ საწინააღმდეგოში ცხადდება. იქ დღევრძელობაა კურთხეულობის ნიშანი. "სიცოცხლე შორეულ დღეთა მიმართ მომანიჭე მე", ასე მიმართავენ ღმერთებს. ნარამსინის მეფობის წლები - ოცდაჩვიდმეტი მთლიანად ფარავს ალექსანდრეს სიცოცხლის წლებს, და ნაშთიც რჩება. აღმოსავლური წარმოდგენით, ალექსანდრეს ხანმოკლე სიცოცხლე სასჯელი უნდა ყოფილიყო იმ ყველაფრისათვის, რაც მან აღმოსავლეთში ჩაიდინა. თუმცა მოგვიანო ხანაში, როცა სპარსულ-მუსლიმურ ტრადიციაში ალექსანდრეს რეაბილიტაცია მოხდა, მისი ასაკი იმ ორი რქის გამო ორ ადამიანურ ასაკს გაუთანაბრეს.

რაც შეეხება ნარამსინს, მას თავის აღმოსავლეთში მიეგო შუამდინარული ისტორიოსოფიიდან გამომდინარე დამსახურებული სასჯელი. მისმა პიროვნებამ შუმერულ ტრადიციაში მოიცვა მთელი დინასტია. ამგვარად გაფართოვდა მისი კერძო-ადამიანური მე. და, რაკი ეს დინასტია დაეცა, მიზეზი ამ დაცემისა მთლიანად ნარამსინს დაეკისრა. ნარამსინი არ ყოფილა დინასტიის უკანასკნელი მეფე, უკანასკნელი იყო შარ-ქალი-შარი, რომლის სახელი "მეფე ყოველთა მეფეთა" ნამდვილად ირონიულად უდერს, მაგრამ ის ტრაგიკულია. "მითოსურ ისტორიას" არ ახსოვს შარქალიშარი, არც აინტერესებს. მას სურს დაცემა იმ პიროვნებაში დაინახოს, რომელიც ერთ დროს მეტისმეტად აღზევებული იყო. ხოლო, სადაც აღზევებაა, იქ გაბუდაყება (ჰუბრისი) გარდაუვალია.

ძველბაბილონურ ენაზე შემორჩენილია ლეგენდა ნარამსინზე, სადაც ნარამსინის დიდების აპოგეაში, სწორედ იმ მდგომარეობაში, როგორადაც ძეგლზეა გამოსახული, თავს იჩენს ჰუბრისი. მას შემდეგ, რაც ღმერთებმა ორაკულზე უარი უთხრეს (რაც აბედიითი ნიშანი იყო), ნარამსინი რისხვით მიუბრუნდა იშთარს (ინანას) და გამომწვევად შეეკითხა: "განა ღომი ოდესმე დაგიდევს ორაკულს? განა მას უმკითხავნია ნადირის ღვიძლზე? განა შეკითხვია ოდესმე მგელი სისზმრის ამხსნელ დიაცს? მაშ, ყაჩაღივით ჩემი ნებისაებრ შევუდგები საქმეს". ნარამსინის ნება დაუპირისპირდა ღვთიურს. ხოლო ნარამსინი, მიუხედავად იმისა, რომ "აქადის ღმერთად", იწოდებოდა, ადამიანი იყო. და ვინ მისცა მას "აქადის ღმერთობა", ვინ ადაზნა ის "შავთავიანებზე", ვინ განუვრცო მას საბატონო მიწა-წყალი "მზის ამოსავლეთიდან მზის დასავლეთამდე"? ვინ დაადგა ორრქიანი მუზარადი თავზე? ამ ინსინიებით იგი ხომ თავად ინანამ შემოსა და ახლა თავის მწყალობელს ეტოქება. "ჩემი ნებისაებრ შევუდგები საქმეს", ანუ ის ამბობს, რომ ღმერთები ნების საწინააღმდეგოდ შევუდგები საქმეს. თუ ღმერთი ნებას არ მრთავს, მე მაქვს ჩემი ნება. ეს განზრახვა, ეს სიტყვები, გამოხატავს იმ უკანასკნელ ნაბიჯს, რომელიც უნდა გადადგას მთისკენ ძეგლზე გამოსახულმა რქებიანმუზარადიანმა. ამიერიდან ძლიერი რქა, რომელიც მის თავს

ამშვენებდა, ურჩობისა და ქედვიცხელობის რქად გადაიქცა და ის უსათუოდ უნდა მოსტეხოდა მას. თუ რქა, ერთი მხრივ, "ხსნის რქაა" (ფსალმ. 17:3), მეორე მხრივ, მეტისმეტად ამადლებული რქა, როგორც ამპარტავნების ნიშანი, შეუწყნარებელია ღვთისთვის (ფსალმ.74,6), რადგან უკეთურთა რქებს დაღეწავს უფალი (ფსალმ. 74:11). ნუ მოგვეჩვენება უადგილოდ ან ანაქრონისტულად ფსალმუნების დამოწმება. ფსალმუნთა ჭეშმარიტება ყოველ ეპოქაში ჭეშმარიტებაა, რადგან ის უნივერსალურია. ერთადერთი ღმერთია, რომელიც აუმაღლებს ადამიანს რქას და იგივე მოამტვრევს მას. "ნუ აიმაღლებთ მაღლად რქათა თქვენთა...(რამეთუ) ყოველნი რქანი ცოდვილთანი შეიმუსრნენ..." (ფსალმ. 74:6...11).

რაოდენ მაღალია აღზევება და ამადლება რქისა, იმდენად ღრმაა დამხოზა. რამდენადაც მაღლა ავიდა ნარამსინი, იმდენად დაბლა დაეშვა იგი, ძველზე ერთად არის ვარსკვლავებით დაგვირგვინებული მთა და უფსკრული. ნარამსინში განსახიერებული დინასტია დაამხო იმავე მთიანეთის ტომმა, რომლის ძლევას მიუძღვნა მან თავისი გამარჯვების სტელა. ქალაქი აქადი, საიდანაც აღზევდა სარგონის დინასტია, ისე დაემხო, რომ შუამდინარეთის მთელი ისტორიის მანძილზე ვეღარ გაიმართა წელში. მისი ადგილიც კი დღემდე მიუკვლეველია.

ზურაბ კიკნაძე